ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №24-2014

ქ. თბილისი 18 თებერვალი, 2014 წელი

ერთის მხრივ – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი (მისამართი: ქ. თბილისი, მ.კოსტავას ქ.№77) წარმოდგენილი ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ქ. ქოქრაშვილის სახით (**„შემსყიდველი"**), და მეორეს მხრივ – სს „სილქნეტი" (მისამართი: წინამძღვრიშვილის ქ. №95) მისი კომერციული დირექტორის ნუგზარ ჩინჩალაძის სახით (**„მიმწოდებელი"**), ადასტურებენ, რომ მათ შორის მიღწეულია შეთანხმება შემდეგზე:

**1. ხელშეკრულების ობიექტი**

1.1. ხელშეკრულების ობიექტს წარმოადგენს სატელევიზიო მაუწყებლობის გადამცემი სერვისით (IP TV) მომსახურება (CPV92232000-საბელური ტელევიზია).

- მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს სატელევიზიო მაუწყებლობის გადამცემი სერვისით (IP TV) მომსახურეობა შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, კოსტავას ქ. №77.
- მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს 24 საათიანი, უწყვეტი და შეუფერხებელი (ოპტიკურ–ბოჭკოვანი ტექნოლოგიის საშუალებით) მომსახურეობა. მაუწყებლობის გადაცემა უნდა განხორციელდეს ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტექნოლოგიის საშუალებით, სერვისს უნდა ჰქონდეს ეთერის მართვის შესაძლებლობა (გადახვევა, დაპაუზება), ჩამონათვალიდან არხების მონიშვნის შესაძლებლობა, არხების ცალკე პროფილის შექმნის შესაძლებლობა.
- სატელევიზიო მაუწყებლობა უნდა მოიცავდეს უმრავლეს ქართულ და არანაკლებ 40 უცხოურ არხს.
- ჩასართავი წერტილების რაოდენობა 10.

1.2. შესყიდვის განხორციელების საშუალება – გამარტივებული შესყიდვა.

**2. ხელშეკრულების ფასი**

2.1. ხელშეკრულების ფასი შეადგენს: 1554 (ათას ხუთას ორმოცდათოთხმეტი) ლარს.

2.2. ხელშეკრულების ფასი შეიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მომსახურებასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯებსა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ გადასახადებს.

**3. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი**

3.1. შემსყიდველი უფლებამოსილია განახორციელოს კონტროლი და ზედამხედველობა მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს განახორციელებს რ. ჩიქვინიძე (სტუ-ს შესყიდვების განყოფილების მთ.სპეციალისტი), ხოლო მიღება-ჩაბარების აქტი გაფორმდება მიმწოდებელსა და შემსყიდველის მხრიდან ზ. ცირამუას (სტუ-ს კომპიუტერული ქსელის მართვის ცენტრის უფროსი შორის;

3.2. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის (დეფექტში ან ნაკლში იგულისხმება ხელშეკრულების პირობებთან შეუსაბამობა) აღმოფხვრა.

**4. მომსახურების გაწევის პირობები**

4.1. მომსახურების გაწევა უნდა განხორციელდეს უწყვეტად და შეუფერხებლად (გარდა კანონმდებლობით და ხელშეკრულებით გათვალისწინებული შემთხვევებისა), ხელშეკრულების გაფორმებიდან 2014 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

**5. ანგარიშსწორების ფორმა, ვადები და პირობები**

5.1. ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით ეროვნულ ვალუტაში ეტაპობრივად, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან და/ან საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენიდან 20 კალენდარული დღის განმავლობაში არაუგვიანეს ყოველი თვის 25 რიცხვისა.

**6. უფლებების გადაცემა**

6.1. მიმწოდებელს არა აქვს უფლება შემსყიდველის წერილობითი თანხმობის გარეშე მთლიანად ან ნაწილობრივ გადასცეს მესამე პირს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობები.

**7. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა**

7.1 ფორს-მაჟორული პირობების გარდა, ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან შესრულების ვადის გადაცილებისათვის მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა, – ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.1%-ის ოდენობით.

7.2 საჯარიმო სანქციის გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

**8. ფორს-მაჟორი**

8.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის (ასეთის არსებობის შემთხვევაში)დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

18.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

8.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს 5 (ხუთი) სამუშაო დღისა უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

**9. დავების გადაწყვეტა**

9.1. მხარეთა შორის სადაო საკითხი წყდება მოლაპარაკების გზით. 30 დღის განმავლობაში შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში საკითხი განიხილება საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

**10. ხელშეკრულების მოქმედების ვადა**

10.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2015 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

**11. სხვა პირობები**

11.1. შემსყიდველი ვალდებულია ხელი შეუწყოს მიმწოდებელს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების ან/და პირობების სრულად და ჯეროვნად შესრულებაში.

11.2. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ერთი პირი მიმწოდებელთან და ერთი პირი შემსყიდველთან). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

11.3. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

**მხარეთა რეკვიზიტები:**

| „შემსყიდველი" | „მიმწოდებელი" |
|---|---|
| საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი<br>მის: კოსტავას ქ. №77 | სს „სილქნეტი"<br>მის: წინამძღვრიშვილის ქ. №95 |
| საბანკო რეკვიზიტები:<br>„თი ბი სი ბანკის" ცენტრ. ფილიალი<br>ბანკის კოდი: 220101830<br>ა/ა GE47TB0600000003408001<br>ს.კ. 211349192 | საბანკო რეკვიზიტები:<br>„საქართველოს ბანკი"<br>ბანკის კოდი: BAGAGE22<br>ა/ა GE41BG0000000878415000<br>ს.კ. 204566978 |
| ადმინისტრაციის ხელმძღვანელი<br>ქეთევან ქოქრაშვილი | კომერციული დირექტორი<br>ნუგზარ ჩინჩალაძე |
| --- | --- |